

# მწყემსი



მე ვარ მწყემსი კეთილი: მწყემსი კეთილმან სული თვისი დაჰსდვის ცხოვართთვის. იოან. 10 — 11.  
შპვე ცხოვარი ჩემი წაწყმედული. მსრეთ იყოს სიხარული. ცათა შინა, ერთისათვის ცოდვილისა. ლუკ. 15—4.  
შოვედით ჩემდა ყოველნი მაშურალნი და ტვირთ-მძიმენი და მე განგისვენოთ თქვენ. მათ. 11 28.

№ 19

1883—1899


15 ოქტომბერი

შხსანიშნავი დიდი დღესასწაულობა დაბა  
ჟირილაში 2 ოქტომბერს.



ჟირილაში 2 ოქტომბერს იყო არა ჩვეულებრივი დიდი დღესასწაულობა. ამ დღეს აქ აკურთხეს მეორე კილდის ვაჭრის, ჩვენი შესანიშნავი ფილანტროპის კედევან ზურაბის ძის ჩუბინიძისაგან შვენიერ კვებაზე აკებული ეკკლესია, რომელსედაც ხუროთ-მოდღვართა შეფასებით დახარჯულა 70 ათას მანეთამდე. ეკკლესიის კურთხევის დღესასწაულობაში მონაწილეობას იღებდნენ არა მარტო ჟირილის

მცხოვრებნი, არამედ მათთან ერთად გარეშე სამრევლოების მცხოვრებნიც აღტაცებით დღესასწაულობდნენ წმიდათა მთავარ-მოწამეთა, არკვეთის მთავართა დავით და კონსტანტინეს დღეობას, რომელთა სახელზე იქმნა აკებული ეს ახალი ტაძარი. აქ მოვიყვანთ რამოდენიმე ცნობას ჟირილის ეკკლესიის მატრიანედან: „1869 წ-დე ჟირილაში არც ეკკლესია და არც რაიმე სამლოცველო სახლი არ უოფილა. აქ არსებობდა მასრის სამმართველო, სამსაჯულო განყოფილება, სამხედრო კამანდა და დროებით მცხოვრებნიც კვარიაზა ბლომად იყვნენ, მაგრამ ეკკლესიის ხსენება კი არ უოფილა.



ბლადოჩინმა დეკანოზმა დავით ღამბაშიძემ, რომლის საბლადოჩინოსაც შეადგენდა ეს ადგილი, მიაქცია ამას უურადღება და განიხრახნა დროებით ეკკლესიის გახსნა რომელიმე შენობაში. ამ დროს რეინის გზის ლიანდაგის გაყვანა თითქმის თავდებოდა ფოთიდან ვეირილამდის და ამ დაბაში ცხოვრება თანდათან ცხოველდებოდა. არსად თავისუფალი შენობა არ იყო. ხსენებულმა ბლადოჩინმა მიაქცია უურადღება ერთ შენობას, რომელიც ჰურის ძალაზიანთ ეოფილიყო 1868 წლამდე, მაგრამ რადგან ჰურის ძალაზია სურამში გაეხსნათ, ვეირილაში ჰურის ძალაზია გაუქმებულ იქმნა და შენობა სახელმწიფოთ უნდა გაეიდუღიყო. ამ დროს ბლადოჩინმა ღამბაშიძემ მანრის უფროსის დახმარებით სთხოვა მისს იმპერატორებითი უმაღლესობას დიდ მთავარს მიხეილ ნიკოლოოზის ძეს კაპკასიის მაშინდელს ნამესტნიკს, რომ ეს შენობა დაეთმოთ უფასოთ დაბა ვეირილის მცხოვრებლებისათვის, რათა ამ შენობაში დროებითი ეკკლესია მოეწყოთ. თხოვნა შეწყნარებულ იქმნა. ეს ჰურის ძალაზია, რომელიც ძართლა ეკკლესიის მსგავსად იყო აკებული, გადაკეთდა ტაძრად, რომელიც კიდევ აკურთხეს 1870 წელში. ათი წლის განმავლობაში ეს ეკკლესია ზოგი ეკკლესიის შემოსავლისა და ზოგი კეთილმხებებელ შემომწირველ პირთაგან შემოსულ ფულებით უფრო რიგიანად მოეწყო, მაგრამ ბოლო დროს ეს ტაძარი ვეირილის მცხოვრებლებისათვის ძლიერ ზატარა შეიქმნა და მასთან შეუფერებელიც. სასულიერო ძართებლობამ წინადადება მისცა მრევლს, რომ ამისთანა შესამჩნევ ადგილას რიგიანი ქვითკირის ეკკლესია აკებულიყო. მაგრამ რადგან ამ დაბაში მკვიდრი მცხოვრებნი

ძლიერ მცირე იყო, ამიტომ შესაფერისი ეკკლესიის გაკეთება შეუძლებელი შეიქნა. საშუალება და დახმარება არსაიდგან სჩნდა. ვეირილა-კი ცალკე სამრევლოდ დამტკიცდა. ამისთანა გაჭირვების დროს ღმერთმან მოუფლინა ვეირილის საზოგადოებას ღვთისმოუვარე ქველმოქმედი კაცი მეორე გილდის ვაჭარი გედევან ზურაბის ძე ჩუბინიძე, რომელმაც შეიყვარა შეენიერება უფლის სახლისა და ადგილი საყოფელი დიდებისა მისისა და განაცხადა სურვილი, რომ იგი თავის ხარჯით ეცდებოდა ააკოს შესაფერისი ტაძარი. ეს განცხადება აწ განსვენებულმა ეოვლად სამღვდელო გაბრიელმა სისხარულით მიიღო და მოსთხოვა მისგან ასაშენებელი ეკკლესიის გეგმა. გედევან ჩუბინიძემ ეკკლესიის გეგმის წარდგენაზე უარი განაცხადა და სასულიერო მთავრობას მოახსენა, რომ იგი თვითონ იქმნება ამ ეკკლესიის სურთომოდღვარი და აღმაშენებელი და სრულებით არც ერთი სურთომოდღვრის ხელმძღვანელობას არ საჭიროებს. მღვდელ-მთავარმა უარი უთხრა. ბლადოჩინის დეკანოზის დავით ღამბაშიძის დაწვლილებით მოხსენების შემდეგ ამ საკნის შესახებ მღვდელ-მთავარი გაბრიელი დათანხმდა და მისცა ხსენებულ ჩუბინიძეს ნება და კურთხევა ამ დიადი საქმის დაწეებისა. ბ. ჩუბინიძე შეედგა შენებას 1894 წელში. ძველი ხის ეკკლესია იქმნა გადატანილი სასაფლაოზე, რომელიც ეკურთხა წმიდა ნინოს სახელზე და ახალი ეკკლესია იქმნა დაწეებული წმიდათა მთავარ-მოწამეთა დავით და კონსტანტინეს სახელზე.

აი ამ ქველმოქმედი კაცისაგან ასაშენებელი ტაძრის კურთხევა იყო 2 ამ ოქტომბერს. ეკკლესიის კურთხევა, რადგან მღვდელ-მთავარი უღონოთ ბრძანდებოდა, შეა-



სრულეს ჯგუჯის მონასტრის წინამძღვარმა არქიმანდრიტმა ნიკიფორემ, კიპრის კუნძულის კიკოსის მონასტრის არქიმანდრიტმა მ. ძელეთიოსმა, დეკ. დ. ღამბაშიძემ დაძღ. ბ. გველესიანმა, ღამისთევით ცისკარი შეასრულა ბერძნის არქიმანდრიტმა ძელეთიოსმა ადგილობრითი კრებულის თანამსახურებით. ძლოცველები ბევრი დაესწრო. ეკკლესიის კურთხევა დაწვებულ იქმნა ორს ოქტომბერს, დილის ათ საათზე, ამ დროს აუარებელი ძლოცველები იყო შეკრებილი როგორც ეკკლესიაში, ისე ეკკლესიის გაღაჯანში, წირვაზე რუსულად და ქართულად გალობდნენ ადგილობრივი ნორმალური და სამრევლო სკოლის შეკრებები უვირილის სამრევლო სკოლის მასწავლებლის ლ. კელენჯერიძის ლოტბარობით. გალობდა ქართული ძვალთბლების გუნდიც. განიცადენის დროს უვირილის ეკკლესიის წინამძღვარმა დეკ. დ. ღამბაშიძემ წარმოასთქვა შემდეგი სიტყვა:

„ღღესასწაულობა მრავალგვარია, ძმანო ქრისტიანენო, მაგრამ ღღევანდელი ჩვენი ღღესასწაულობა, ენკენიობა, ჩვენი ახალი ეკკლესიის კურთხევა, აღემატება ყველა იმ სასიხარულო ღღესასწაულებს, რომელთაც ჩვენ ვღღესასწაულობთ ხოლომე ჩვენს ცხოვრებაში. ჭეშმარიტი ქრისტიანის გული აღვისილია სიხარულით თავისი ეკკლესიის კურთხევის დროს. რატომაა ეს ღღე ასე სასიხარულო ყოველთა ქრისტიანეთათვის? იმისათვის, რომ ეკკლესია არის საზოგადო ჩვენი ღღეა, აღმზრდელი სარწმუნოებასა და კეთილმსახურებასა შინა დაბადებიდგან სიკვდილამდე. არც ერთი კეთილი და კეთილმსახური ქვეყნიური მშობლების სიყვარული არ შეედრება იმ სიყვარულს, რომელიც აქვს ეკკლესიას ჩვენდამი. ეკკლესია ყოველთვის ცხოველს მონაწილეობას იღებს ჩვენს არა მარტო სულიერს და სარწმუნოებრივს, არამედ საზოგადო შინაურ ოჯახურ ცხოვრების საქმეებშიც. სიხარულსა და მწუხარებასა შინა ჩვენთან ერთად იღებს მონაწილეობას.

ბას. არც ერთი შემთხვევა არ მოხდება ჩვენს ცხოვრებაში, რომ ლოცვით და ეკკლესიის კურთხევით არ იქნეს დაწყებული. დაგებადა, ვთქვათ მაგალ., ბავში,— წმიდა ეკკლესიის მოსამსახურე, შენი სულიერი მოძღვარი იქპარის შენი სახლისკენ, რათა მშობიარეს წაუკითხოს ეკკლესიისაგან დაწვებული ლოცვა, უწოდოს სახელი ახლად დაბადებულს და შეევედროს ღმერთს, რომ მან მოუვლინოს ახლად დაბადებულს მფარველი ანგელოზი. შემდეგ ნათლისღების საიდუმლოში ყრმა იშვება სულიერი ცხოვრებისათვის, განიბანება რა იგი ცოდვებისაგან, რომელთა შინა დაიბადა იგი, და მიენიჭება მას მაღლი კეთილი ცხოვრებისათვის.

გახდა ვინმე, ძმანო, თქვენ შორის ავად, წმ. ეკკლესია გიგზავნის შენ მღვდელს და გაძღვეს ხორცსა და სისხლსა უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესა, რომელიც გვეკურნებს ჩვენ სულიერად და ხორციელად.

შენ გსურს, რომ ჯვარი დაიწერო,— წმიდა ეკკლესია გაკურთხევს როგორც შენ სასიძოს, ისე შენს მეგობარს სასძლოს ჭ გვირგვინოსან გყოფს სახითა მაცხოვრისა ეკკლესიასთანა, თქვენთვის გამოითხოვს უფლისაგან კეთილ ცხოვრებასა, მშვიდობასა, ურთიერთ შორის თანხმობასა და სიყვარულსა. ვინ გაგვაციდებს ჩვენ ამ ქვეყნიდან ცხოვრების დასრულების დროს საიქიოს, თუ არა იგივე ღღეა ჩვენი— წმიდა ეკკლესია? სიყვარული წმიდა ეკკლესიისა ჩვენდამო არ თავდება ჩვენი აქაური ცხოვრების მოსაზობის შემდეგაც. ავი ნიადაგ ვევედრება ღმერთს, რომ მიუტეოს ჩვენს ბოროტ სულსა, რაიცა უქმნია ამო ამ ქვეყანაზედ. ყოველივე ჩვენს ცხოვრებაში ეკკლესიისგან იკურთხევა, სახლი, ეზო, აგარაკი, ვენახი, ნაყოფი, წყარო, საჭმელი და სასმელიც. ზეცათა შინა არიან ანგელოსანი და წმიდანი ღვთისანი და ეკკლესიაშიაც იმყოფებიან. ეკკლესიაში ჩვენი ლოცვა უფრო წმინდა არის და სათნო ღვთისა; ამისთვის რომ აქ არ არის ქვეყნიური ამოება. ტაძარი მოაქცევს სულ დაცემულ ცოდვილსაცა. აი ამისთვის გვმართებს, ძმანო, დიდი სიხარული ღღეს, რადგან ეკურთხა ჩვენი ახალი ეკკლესია. მაგრამ ჩვენი სიხარული, ძმანო ქრისტიანენო, ბევრად უმეტესია იმ სიხარულზე, რომელსაც თავიანთ ეკკლესიის კურთხევაზე გრძობდნენ მრევლნი ყველგან. თვითეულს ჩვენგანში ამ სიხარულს უნდა აორკე-



ცებდეს ის გარემოება, რომ ღმერთმან ინება კურთხევა ამა ეკკლესიისა წმინდათა მთავარ-მოწამეთა დავით და კონსტანტინეს არგვეთის მთავართა სახელზე, რომელთა გვამნი განისვენებენ მოწამეთის მონასტერში და რომელთა ხსენებასა ვდღესასწაულობთ დღეს. არ მომხდარა არც ერთ ადგილას, სადაც კი ქრისტიანები ცხოვრობენ, რომ იქისთანა შესანიშნავ და დიდებულ მოწამეთა, როგორც არიან წმიდანი მთავარ-მოწამენი დავით და კონსტანტინე, პატივად და მოსახსენებლად ეკკლესია არ აეგოს მთელს იმ მაზრაში, სადაც ისინი იღვწოდნენ და ცხოვრობდნენ. დღეს ინება განგებამ ამის ასრულება. ასრულდა ის, რაც არ ასრულებულა ათას ას ორმოცდა ცხრა წელში. დღეს ველირსეთ არგვეთის მთავართა დიდთა მოწამეთა დავით და კონსტანტინეს სახელზე ჩვენი ეკკლესიის კურთხევას, რომელი გარემოებაც აორკვეცებს დღეს ჩვენს სიხარულს.

წმიდანი მთავარ-მოწამენო დავით და კონსტანტინე! მიიღეთ ეს ტაძარი თქვენი ლოცვით მფარველობასა ქვეშე! ჩვენ მტკიცეთ გვწამს, რომ ყოველნი, რომელნიც მოიქცევიან თქვენდამი ლოცვითა, სადაც უნდა იყოს, ჰპოვებენ თქვენგანთ კეთილ დროებით შემწეობასა. გარნა ჩვენ გულით გვსურდა გვქონოდა ყოველთვის სანაიდაგო ადგილი, სადაც შეგვძლებოდა ყოველთვის ლოცვა-ვედრების აღვლენა წინაშე თქვენი ხატისა. სად იქნებოდა ამისთანა ადგილი, თუ არა ამისთანა ეკკლესიაში. ნუ დასტოვებთ, წმიდანი ღვთისანო, სალოცავსა ამას, განსწმინდეთ, განამტკიცეთ და აღავლინეთ ზეცათა მიმართ ჩვენი სუსტი ლოცვანი, იყვენით მეოხად და მცველად ჩვენი ცხოვრებისა. ეს არის პირველი ლოცვა ჩვენი თქვენდამი, სათნონო ღვთისანო!

წმიდანი მთავარ-მოწამენო დავით და კონსტანტინე! მოყავით ყურნი სმენად ლოცვათა ჩვენთა და რომელნიცა შემოვიდოდნენ ტაძარსა ამას შინა, გამოვიდოდნენ განბანილ-განწმენდილი სულითა და ხორცითა, რომ ბედნიერნი შემომავალნი ამას შინა თავის ბედნიერებას უყოფდნენ მოყვასთა თვისთა და გაჭირვებულთა, რომ უბედურნი ამ ტაძარსა შინა ჰპოვებდნენ ნუგეშსა და ძალასა, სიმხნით აიტანონ თავის უბედობა, რომ მონანულნი ცოდვილნი ისმენდნენ მას შინა მოტყევასა ცოდვათასა და მოუწანებელნი ცოდვილნი ინანებდნენ ცოდვათა თვისთა, რომ ყოველნი მთხოვნელნი მიიღებდნენ სათხოვართა და მაძიებელნი ჰპოვებდნენ საძიებელსა...

ვარდნო შვენეერნო ზეცისა მტილისანო, რომელი ფშვით სუნელებასა ყოველთა კიდეთა და კურნებასა აღმოუდგინებთ სურვილით მედღესასწაულეთა თქვენთა, დავით უძლეველობითა გვირგვინოსანო, და კონსტანტინე ჭურო სიმხნისაო, მაქვებელთა თქვენთა სამღვლვარენი განსაცდელნი თანა წარხადენით, და ოხითა თქვენითა მომადლეთ მშვილობა.

ასე, ძმანო ქრისტიანენო, მოგილოცავთ ყველას ამ დიდებულთა და შვენეერი ეკკლესიის — ტაძრის კურთხევას. მე დარწმუნებული ვარ, რომ ყველა თქვენგანს და განსაკუთრებით მე, თქვენს მწყემსს და მოძღვარს, ადვილი გვაქვსთ გული სიხარულითა და სიამოვნებითა ამისთანა დიდებულთა შვენეერი ტაძრის ხილვითა და ყველანი მზად ვართ შევსწიროთ უღრმესი გულითადი მადლობა აღმაშენებელსა ამა ეკკლესიისასა. ეს უღრმესი გულითადი მადლობა გეკუთვნის შენ, პატივცემულო, წევრო ამა ეკკლესიისა ძმაო, გედევან ზურაბის ძე! შენ ერთად ჩემთან მხილველი იყავი, თუ როგორ იყო მოკლებული ყვირილის სამწყსო ღვთის სახლსა, ეკკლესიასა. შენ იცი კარგად, თუ რამდენი ეცადა აქაური საზოგადოება, რომ რიგიანი ტაძარი აეგო ამისთანა შესამჩნევ ადგილას, მაგრამ სიმცირისა გამო სამწყსოისა და თავის სიღარიბისა გამო ვერ შესძლო აგება მცირე ფასის ეკკლესიისა. შენ მხოლოდ ერთმა შეიგნე და აღასრულე წინასწარმეტყველის და მეფის ფსალმუნთა მგალობელის სიტყვები: «უფალო, შევიყვარე შენეირება სახლისა შენისა და ადგილი საყოფელი დიდებისა შენისა» (ფს. 52, 8). შენ მხოლოდ და ნამდვილ შეიყვარე შენეირება უფლის სახლისა და ადგილი საყოფელი დიდებისა მისისა და არა მიმხედველმა თვით შენთა საქიროებათა, დაიწყე შენება ამა დიდებულთა ტაძრისა. ამისთანა დიდი საქმის დაწყების დროს შენ არ გქონდა ყველა ის, რაც საქირო იყო ამ ტაძრის ასაშენებლად, არ გქონდა იმედი არავისგან დახმარებისა და შემწეობისა; ერთხელვე გადასწყვიტე შენს გულში მიგელო თავის თავზე ყოველივე ხარჯი, უკანასკნელი შენი ქონებაც რომ ამ ტაძრის აშენებას მონდომოდა.

ერთ დროს უფალი ჩვენი იესო ქრისტე იერუსალიმში იჯდა წინაშე ფასის საცავისა და ხედვიდა, თუ ვინ რა შესაწირავს დასდებდა „და მრავალთა მდიდართა დასდევს ფრიად. და მოვიდა ერთი ქვრივი



გლახაკი, და დასხნა ორნი წვლილნი, რომელ არს კოდრანტე». (მარკ. 12, 42). ფასის შესაწირავი არის ჩვენებური ფულის შესაკრებელი ყულაბი, ლანგარი. ესეთი ჩვეულება იყო ძველ დროშიაც და, როგორც ვკითხულობთ სახარებაში, მდიდრებმა დიდი ფული შესწირეს, მაგრამ ამ დროს ერთი დედაკაციც, გლახაკი, მივიდა და ორი წვლილი, სულ მცირე ფული დასდო. უფალმა მოუწოდა მოწაფეებს და უთხრა: ყველაზე მეტა ამ გლახაკმა დედაკაცმა შესწირა, ვინაიდან მდიდართა შესწირეს ნამეტნავისაგან, ხოლო ამ დედაკაცმა შესწირა უკანასკნელი ქონება. შენი ეს ქველი საქმე, პატივცემულო გედევან ზურაბის ძევ, შენი ეს შეწირულება ჭეშმარიტად ემსგავსება სახარებაში მოთხრობილი ქერივი ქალის წვლილს, შეწირულებას. შენ არა ნამეტნავისაგან დაგიხარჯავს ამ დიდებული ტაძრის ასაგებად ფულები, როგორც ამას სჩადიან იშვიათად ზოგიერთნი მდიდარნი. არა, მრავალ გზის მოგიკლია შენ შენი თავისათვის ის, რაც მიუცილებლად საჭირო იყო შენთვის. შენ არა თუ ნამეტნავისაგან ხარჯე ფულები ამ ტაძრის ასაშენებლად, არამედ მრავალჯერ კიდევ გისესხნია დიდი სარგებლით, მაგრამ ტაძრის შენების საქმე არ შეგიფერხებია, არ შეგიწყვეტია. ამისთვის, ძმაო, ეს შენი შეწირულება, ეს შენი ქველი საქმე ჭეშმარიტად სათნოა ღვთისათვის და სასიამოვნო და სასიქადულო კაცთათვის.

შენ, ღვთისმოყვარეო, გედევან ზურაბის ძევ, არა თუ ნივთიერი ქონება შენი არ დაგიზოგავს ამ დიდებული ტაძრის ასაგებად, არამედ შენი ცხოვრებაც არ დაგიზოგავს და მზად იყავი ამ კეთილი საქმის ასრულებისათვის შენი სიცოცხლეც შეგწირო, ოღონდ ერთხელვე დაწყებული ეს კეთილი საქმე დაგეგრავინებია და დაგემთავრებია. შენ შენს სიცოცხლეში მოკლებული ხარ ყოველგვარ ფუფუნებით ცხოვრებას, რომელსაც მდიდრები მიეცემიან. შენთვის არ არსებობს ამ ქვეყანაზე დროს გატარება და განცხრომა, რომელსაც თითქმის ყველა შეძლებულნი მიეცემიან ამა ქვეყანაზე. შენს სიამოვნებას, შენს დროს გატარებას და შენს განცხრომას შეადგენდა ამ ეკლესიაზედ მუშაობა შენივე ხელით და მუშების სწავლება და ხელმძღვანელობა. იმ დროს, როცა ექიმები ერთი ოთახიდან მეორე ოთახში შენს გასვლას საშიშოდ რაცხდენ შენი ტანმრთელობისათვის, შენ მაინც გარეთ გადიოდი და მუ-

შებს უჩვენებდი სამუშეოებს. იმ დროს, როცა ექიმები შენს გარეთ გასვლას საშიშოდ რაცხდენ შენი ტანმრთელობისათვის, შენ გუმბათის თავზე დგებოდი და ჩაქუჩით ხელში რამეს აკეთებდი და ქვის მუშას ეხმარებოდი და უჩვენებდი მუშაობას. ამას ვმოწმობ არა მარტო მე, შენი მოძღვარი, არამედ მთელი საზოგადოება. აი სწორედ შენ მხოლოდ გაქვს უფლება სთქვა: „უფალო, შევიყვარე შენიერება სახლისა შენისა და ადგილი საყოფელი დიდებისა შენსა. აი ამისათვის განირჩევა, ღვთის მოყვარეო, პატივცემულო გედევან, ეს შენი საქმე სხვა კაცთა ქველის საქმეთაგან \*). ჭეშმარიტად მხოლოდ ამ ღრმა სიყვარულმა შენმა „ღვთის სახლისამ“ აღძრა შენში სურვილი და გაბედულება ამ დიდი საქმის დაწყებისა და მანვე მოგანიჭა ძალა და სიმძნე ამისთანა კეთილი საქმის დამთავრებისა. მე სრულებით არ მივაწერ ამისთანა დიდი საქმის დაწყებას და შესრულებას შენგნით შენს შეძლებას. არა, მრავალნი ყოფილან და არიან შენზედ მეტად შეძლებულნი და მდიდარნი, მაგრამ მსგავსი შენი საქმისა, არა თუ ჩვენს მხარეში, არამედ იშვიათი მოვლენაა მთელს იმპერიაშიც.

მრავალნი გაკვირვებით შემომკითხვიან მე: „ნუ თუ თავის საკუთარი ფულებით აშენებს ბ. ჩუბანიძე ეკლესიას და არავინ არ ეხმარება მას ამოდენა ფულის ხარჯში“. როცა ჩემგნით შეუტყვიათ, რომ ეს დიდებული და შენიერი ეკლესია შენდებოდა მარტო შენგან ყოველი კაცის დაუხმარებლად, გაკვირვებულნი მეტყოდნენ ხოლმე მე მრავალნი: „განა შესაძლოა კაცმა ამოდენა ფული დახარჯოს ეკლესიისათვის

\*) ერთი ნასწავლი აზნაურაშვილი მივიდა ამ ტაძრის დასასუფავად და აღმაშენებელიც ამ დროს ეკლესიის ეზოში მუშებს თავს ადგა და ასწავლიდა. ჯერეთ მიესალმა აღმაშენებელს და ბოლოს ვკლან მითმინა და უთხრა: „კაცო, ხომ არ გაგიკებულხარ, რომ ამხელა ტაძარი დაიწყეთ და ამდენს ფულს ტაძრის დასაშენებლად სარჯავ?“ ეკლესიის აღმაშენებელმა უპასუხა: „მე და შენ, ძმაო, არ შეგვიძლია გარდავწვიტოთ, მე ვარ გიჟი მისთვის, რომ ეკლესიას ვაშენებ, თუ შენ ხარ გიჟი, რომ ეკლესიის შენება სიგაჟეთ მიგახნია. დაუნაშნეთ მედიტორები და მათ გადაწყვიტონ“. ეს აზნაურაშვილი, შერცხვენილი ამ სიტყვებისაგან, გაბრუნდა და წავიდა.

და ამოდენა უსიამოვნება და შრომა მიიყენოს, რაც მიუტკივრებლად მოსალოდნელია ამხელა ეკკლესიის აშენების დროს? ყოველი ჩემი დარწმუნება, რომ შენი საკუთარი ფულებით და მეცადინეობით აიგოს ეს დიდებული ეკკლესია, ბევრს საექვოდ მიაჩნიათ. ჩვენს ზნეობით და სარწმუნოებით დაცემულ დროში ვერ წარმოუდგენია კაცს, რომ ქეშმარიტი ქრისტიანე მზად არის ყოველივე თავის ქონება კეთილ და ქველ საქმეებს მოახმაროს; ვერ წარმოუდგენიათ ის სიყვარული ღვთის მსახურებისა, რომელსაც მორწმუნენი ასრულებენ. სარწმუნოებით და ზნეობით სუსტთა პირთა ვერ წარმოუდგენიათ ის სიხარული და კმაყოფილება, რომელსაც ქეშმარიტი ქრისტიანენი გრძნობენ ღვთის სათნო და ქველი საქმეების ასრულების დროს. ქეშმარიტად ეს ცხოველი სარწმუნოება და სიყვარული ღვთისა იყო მიზეზი ყველა შრომისა, ტანჯვისა და დიდი ხარჯისა, რომელნიც შენ მიიღე, ღვთისმოყვარევე, გედევან ზურაბის ძევე. მომალაფი შრომა და მრავალგვარი უსიამოვნება ამ დიდებული ეკკლესიის მსაღის მოპოებისა, მოტანისა და აღშენებისათვის იყო შენთვის თითქო შეუმჩნეველი და არაფრად ჩასაგდები, რადგან ყველა ეს იყო გამოწვეული ღვთის სათნო და საზოგადოების სასარგებლო საქმის შესასრულებლად. იმ შრომასა და ჯათაში ჰპოვბდი შენ სიამოვნებას და სულიერ კმაყოფილებას.

ქება, დიდება და პატივი შენ, ღვთისმოყვარეო გედევან ზურაბის ძე, ამისთანა დიდებული და შვენიერი ეკკლესიის აშენებისათვის! შენ კანონიერად და მსახურე საუკუნო ხსენება მომავალ თაობაში და ღრმა გულითადი მოგონება ამა ეკკლესიასა შინა მლოცველთა და შემომავალთაგან. სრულიად შენ გეკუთვნის კურთხევა და მადლი ღვთისა, რომელიცა მიენიჭება ღვთის სახლის შევნიერების მოყვარეთა. იმ ხარჯს, რომელიც თქვენ მიიღეთ ამ დიადი ეკკლესიის ასაშენებლად, ღმერთი მოგაგებს შენ ას წილად. დღეიდან ეკკლესია ესე, შემდეგ გვირგვინოსანთა და მწყემს-მთავართა ეკკლესიისათა, აღავლენს პირველად ლოცვასა და ვედრებასა ღვთისადმი შენზედ, როგორც ამა ტაძრის აღმაშენებელზედ. ამ სახით შენი სახელი, როგორც ამა ეკკლესიის აღმაშენებელისა იქნება ნიდაგ იმ დრომდე, რა დრომდინაც ამას შინა შეწირულ იქნება უსისხლო მსხვერპლი.


ვმადლობთ უფალსა, რომელმანცა მიანიჭა სიყვარული ღვთის სახლისა ჩვენს თანაწევრს; აღმაშენებელსა წმ. ამა ეკკლესიისასა! ვმადლობთ უფალსა, რომელმანცა მიანიჭა სიმხნე და შეძლება ამა ეკკლესიის აღმაშენებელსა; ვმადლობ უფალსა, რომელმანცა ყველა ჩვენ შეგვასწრო ხილვად ეკკლესიისა აღშენებულისა წმ. მთავარ-მოწამეთა არგვეთის მთავართა დავით და კონსტანტინეს სახელზე, მათ პატივსაცემლად და სალოცველად, წამებულთა ქრ. შემდეგ ღმდ წელსა.

განიხაროს გულმა შენმა, ღვთისმოყვარეო, აღმაშენებლო წმ. ამის ტაძრისაო. პირველად შენ გეკუთვნის სიხარული ამა დღისა ღვთისმოყვარეო. წმ. ეკკლესია დაუცხრომელად ვედრება ღმერთსა და სათნოთა მთავარ-მოწამეთა არგვეთის მთავართა დავით და კონსტანტინეს, რათა მან მოგანიჭოს შენ დღეგრძელობა, კეთილი და ბედნიერი ცხოვრება ორთავე სოფელთა შინა. აღასრულოს ღმერთმა კეთილი გულისთქმა შენი სასარგებლოდ მამულისა, ეკკლესიისა, სულთა და ხორცთა შენთა. ამინ“.

სიტყვის გათავების შემდეგ ხალხში გაისმა ხმა: ღმერთმან დიდი დღე მისცეს ეკკლესიის აღმაშენებელს და კეთილი მიანიჭოს. ეკკლესიის კურთხევას ყველგან ჩვეულებრივად დღესასწაულობს ხალხი, მაგრამ ამ ეკკლესიის კურთხევას რაღაცა აღტაცებით მიეგებნენ. ყველას გულში რაღაცა კმაყოფილება და სიხარული იხატებოდა. უმეტესად მისთვის, რომ ეს შევნიერი ეკკლესია აიგო არგვეთის მთავართა მთავარ-მოწამეთა დავით და კონსტანტინეს სახელზე. მოგესხენებათ კარგად, თუ ვინ იყენ მთავარი არგვეთისანი დავით და კონსტანტინე და როგორ ეწამნენ იგინი. მთელს შორაპნის მაზრაში ერთ ადგილას მათ სახელზე ეკკლესია არ აგებულა. რამდენად სამწუხარო უნდა იყოს ეს გარეშობა, როდესაც ჩვენში მრავალი ეკკლესიები შენდებიან სხვა და სხვა წმიდანების სახელზე, რომელთა ღვაწლი სრულებით ჩვენმა ხალხმა არ იცის და რომელთა ცხოვრებას ჩვენს ქვეყანასთან და ხალხთან არავითარი დამოკიდებულება არ ჰქონებია. ს. არგვეთა შორაპნის მაზრაში არის და წარმოიდგინეთ, რომ თვითონ ამ სოფელშიც კი არ არის ეკკლესია ხსენებულ მთავარ-მოწამეთა დავით და კონსტანტინეს სახელზე აგებული. დღეს ყვირილაში, მადლობა



ღმერთს, შევესწარიო ერთ ეკკლესიას დავით და კონსტანტინეს სახელზე ნაკურთხს და მეორეს წმ. ნინოს სახელზე, სასაფლაოს ეკკლესიას. ამნაირად 2 ოქტომბერი დაიდვა სამუდამო დღესასწაულად დ. ყვირილაში და იმედია ამ დიდებულ მოწამეთა დღეობა ჯეროვანად ასრულდება. ყვირილის ეკკლესიასთან დაარსებულ იქნება ძმობა ხსენებულ მოწამეთა სახელზედ. ეს ძმობა დაარსებს წიგნსაცავს და უფასო სამკითხველოსაც.



**ძობავალი რეფორმის გამო.**



იდი ხნის ლოდინის შემდეგ დარეკა საერო სასწავლებლების განახლების ზარმა და საზოგადოებაში საერთო მხიარულება გამოიწვია. ყველა იმედით აივსო, რომ საშუალო საერო სასწავლებლებში ეხლა ახალი სხივი ჩააშუქებს და უფრო სასიცოცხლო ელემენტი დატრიალდება. ყველა სიამოვნებით მოეღის მათ რადიკალურად შეცვლას და დღე-დღეობით ახალ ხანაში შესვლას. რომ კარგად წარმოვიდგინოთ მომავალი რეფორმის მნიშვნელობა, ამისათვის უნდა ავხსნათ რამდენათ საგრძნობელია დღეს მისი საჭიროება.

გიმნაზია და მისი ორგანიზაცია დღეს განზორბით ვერ აკმაყოფილებს ახალთაობის სულიერ წყურვილს და არ ეთანხმება საზოგადოების თანამედროვე მოთხოვნილებას. გიმნაზიის რვა წლის კურსს დღეს რაღაც ძველი ელფერი დასცემს და მისი შესწავლა რაღაც გარეგნული და ძალდატანებითი ხასიათისაა. აშკარაა, რომ მოსწავლე თაობა ძლიერ გულგრილად ჰკიდია გიმნაზიაში სწავლას და თუ სწავლობს ის მიტომ, რომ უფლება მიიღოს; საზოგადოებაც არა ნაკლებ უკმაყოფილოა გიმნა-

ზიის და თუ ისევ მას ეტანება, როგორც ასაზრდელ საშვალეობას, ეს მიტომ რომ მეტი გზა არა აქვს.

მართლაც, რომ გადავავლოთ თვალი გიმნაზიის პროგრამას და მის წეს-წყობილებას, ადვილად შევამჩნევთ, თუ რა მსხვილი ნაკლოვანება აქვს მას.

გიმნაზიაში სწავლა დღეს სწორეთ კლასიკურია. ძველ კლასიკურ ენებს იქ დღესაც პირველი ადგილი უჭირავს და მათი დაძველებული ფორმების შესწავლის მსხვერპლი ხდება დღესაც ახალი თაობის ნორჩი გონება. ვერ გავამტყუნებთ ერთი მხრით მოსწავლეებს იმაში, რომ ისინი არ არიან ინტერესით აღტურვილი და გიმნაზიის საგნების შესწავლაში დიდ გულმოდგინებას ვერ იჩენენ. აგრეთვე ვერ გავაცხადებთ სამდღურავს ზოგიერთ მასწავლებლებზე, რომ ისინი ხელოვნურად ვერ ჰკიდიათ თავისს საგანს და მათ საინტერესოთ ვერ ხდებიან; რადგანაც თითონ პროგრამა არის აქ დამნაშავე ერთი მხრით. გიმნაზიაში უნდა ისწავლონ ძველი ენების კითხვა, გრამატიკა და თარგმანი, ასე რომ მიზანია ბევრი სიტყვების ცოდნა, ყველა გრამატიკული შენიშვნების ზეპირად ცოდნა და თარგმანში ვარჯიშობა. აბა, რა უნდა იქნეს აქ საინტერესო, ან როგორ ხელოვნებას შეუძლია ეს საინტერესოდ გახადოს?! სულ სხვაა უმალღეს სასწავლებელში. იქ ძველი ენები მეცნიერულ ნიადაგზეა დაყენებული, თუმცა მათი შესწავლა იქაც ინტერესს მოკლებულია დღეს, ჩვენი ცხოვრების ახალი პირობების და მოთხოვნილების გამო და გიმნაზიაში რაღა უნდა იყოს! ანუ რას ვხედავთ ბოლოს ე. ი. რვა წლის შრომის შემდეგ? რვა წელიწადი სწავლობს მოსწავლე ძველ ენებს და ბოლოს ლექსიკონის შემწეობით კიდევ ძლივსდა თარგმნის უცხო წიგნს, ხოლო თავისუფალ და გასაგებ კითხვაზე ლაპარაკი ხომ შეუძლებელია.

ამგვარად ერთი უძლეველი ბოროტებაა, რომ გიმნაზიებში ორივე ძველ ენებს დიდი და უპირატესი ადგილი უჭირავს და მათი შესწავლა მოსწავლის გონებას, განსაკუთრებით მეხსიერებას, მისდა უნებურად ატყვევებს. ამას თუ დაუმატეთ ყოველ დღე გაკვეთილის სწავლა და მიგება, რეპეტიციები, ეგზამენები და სხვა, ადვილად წარმოვიდგენთ, რომ მოსწავლე სულიერად სწუხდება, ფიზიკურად სუსტდება და ბოლოს მას სწავლა თავს აბეზრებს.

გარდა შენიშნულისა, ერთი მსხვილი ნაკლი გიმნაზიისა ის არის, რომ ის დღეს სხვა სასწავლებლებზე კიდევ უფრო შორს უდგია ნამდვილ ცხოვრებას, მით რომ იქ ძველი ენების დიდი პატივისცემის გამო სხვა უფრო აუცილებელი საგნები უყურადღებოთ რჩებათ, მაგ. ფსიხოლოგია, პედაგოგია, სამეურნეო ცოდნა და სხ. ფსიხოლოგიის უცოდინარობას შესამჩნევად ჰგრძობს გიმნაზიელი, როცა უმაღლეს სასწავლებელში შედის და სრულ მოუზადებლობას—როცა ცხოვრებაში გადის. წარმოვიდგინოთ მართლაც, რომ გიმნაზიელმა, მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო, სწავლა ვერ გააგრძელა და ბედმა პირდაპირ ცხოვრების ასპარეზზე გაისროლა. რა მომზადება მიჰყვება მას თან, რომ ცხოვრების მორევში დაუპარცხებლად იცურვოს? რა არის მისი ცოდნა? არც ოჯახობა, არც ბავშვების აღზრდა, მხოლოდ ბიუროკრატიული საქმეების ასრულება, რაც ცხადია, კაცს ნახევრადაც არ ეყოფა ცხოვრებაში. ასეთს ნაკლს კარგათ ამჩნევს მოსწავლე, რომელსაც მიზნათ მიაჩნია მოწმობის აღება და მით უმაღლეს სასწავლებელში შესვლის ნება და არა საგნების შესწავლა.

ამასთანავე უნდა შევნიშნოთ, რომ გიმნაზია შესაფერად ვერ ამზადებს მოსწავლეებს უმაღლესი სასწავლებლისათვის, ასე რომ პირდაპირ მხოლოდ უნივერსიტეტის ორ ფაკულტეტზე შეიძლება გამოადგეს მოსწავლეს გიმნაზიის კურსის ცოდნა. ამგვარად გიმნაზია, რადგანაც მის პროგრამაში ზოგიერთი უსაჭიროესი საგნებია გამოტოვებული, ვერც საზოგადო განვითარებას აძლევს მოსწავლეებს, რაც ცხოვრებაში აუცილებელია მომავალი მოქალაქისათვის და ვერც სპეციალური სასწავლებლებისთვის ამზადებს მათ. ამისთვის ადვილად შეგვიძლია ვსთქვათ, რომ გიმნაზიის ეხლანდელი ორგანიზაცია ძველი, დღეს გამოუსადეგარია და აუცილებელია მისი რადიკალური განახლება. ჩვენ ვაჩვენეთ მარტო კერძო ნაკლი გიმნაზიისა და არაფერს ვამბობთ იმ ნაკლზე, რაც მას ზიარი და საერთო აქვს სხვა სას-

წავლებლებთან. და თუ ორივე მხარეს შევხო რეფორმა, მაშინ ხომ ოქროს იმედების ასრულება იქნება.

საშუალო სასწავლებლების ნაკლი, დიდი ხანია, ცხოვრებამ აშკარად დაანახვა საზოგადოებას და პრესას, მისი სულთქმის გამომხატველი ორგანო, ყოველთვის ცხადათ აღიარებდა ასეთს სამწუხარო მოვლენას. ეხლა დროებამ უფრო გაამწვავა კითხვა, მთავრობამაც ყური უგდო საზოგადოების დრტინვას და ახლო მომავალში გადასაწყვეტად დანიშნა საშუალო სასწავლებლების საქმე.

ვიქონიოთ სრული იმედი, რომ კითხვა სასარგებლოდ გადაწყდება, რადგანაც მთავრობასაც და საზოგადოების მოწინავე გავლენიან პირებსაც საკმაოდ შეგნებული აქვს თანამედროვე ცხოვრების მოთხოვნილებები და მოზარდი თაობის მომავალი დანიშნულება. ამ გვარად მოსალოდნელია, რომ მოსწავლე თაობას გონების საზრდო ცხოვრების მოთხოვნილების და გვარად ახალი სისტემით მიწვედება და მით მომავალი საზოგადოება უფრო მომზადებული დაიქერს ადგილს ცხოვრებაში და საერთო წინმსვლელობაში ჩქარ ნაბიჯს გადასდგამს.

სწორეთ სასურველია სკოლების ჯეროვანი ორგანიზაციის მიცემა, რადგან მომავალი საზოგადოების ღირსება სრულიად სკოლებზეა დამოკიდებული, რომელნიც როგორც გონებრივ ისე ზნეობრივ საუნჯეს წარმოადგენს. კარგი სკოლა უტყუარი თავდება მომავალი კარგი საზოგადოებისა. სადაც კარგი სკოლები შექმნეს, იქ საზოგადოებრივი ცხოვრებაც წინ წავიდა, ეს ისტორიის ცხადი მაგალითია.

ტ. ჯავახიძე.





### მწარე ფიქრები.



ვ-ბ. რია და ჩვენ აღტაცებას საზღვარი არა აქვს, როდესაც ვტუობილობთ, რომ განათლებული პირების რიცხვი ჩვენში მატულობს. რა აღტაცებით ვკითხულობთ უოვედ ქურნად-გაზეთებში დაბეჭდილ ამბებს სამუალო და მაღალ სასწავლებელში გურს დამთავრებულთა შესახებ!.. როცა ვტუობილობთ, რომ უოვედს წლობით გვემატება ოცო, ოც-და-ათი სამუალო სასწავლებლებში გურს დამთავრებულნი და ათი თუთხმეტიც მაღალ სასწავლებლებში გურს დამთავრებულნი, ჩვენს სიხარულს და იმედებს დასასრული არა აქვს. მერმისის იმედი ჩვენი აღფრთოვანებული არის და წინანდელი უიმედობა გაქარწყლებულია. ზოგიერთები იქმდის მიდიან, რომ ხალხს კეთილ დდეობას, მის ბედსა და უბედობას ამკარებენ! ტუდენტების რაოდენობაზე. ამიტომაც არის, რომ გუმინდელი ჩვენი გიმნაზიელი, რომელსაც ჯერეთ ფეხიც არსად გადაუდგამს თავის ადგილიდან, თვალით არ დაუნახავს უნივერსიტეტი და არავის არ მიუღია იგი სტუდენტად, მუნდირში გამოპრანჭული დასეირნობს საღაუბო ადგილებში. გიკვირს საიდან გაჩდენ ამდენი უნივერსიტეტელი მოსწავლენი და ასე ღრე საიდან მოვიდნენ! ამ ბატონებს ჯერეთ უნივერსიტეტი თვალთაც არ უნახავსთ, მაგრამ საზოგადოებაში თავს გამოსაჩინად ჩაუცვამთ მუნდირები და თავს აწონებენ და მეორეს მხრით ხალხს ანუგეშებენ!.. მართლაც ბევრი ნუგეშობს, მაგრამ, მართალი უნდა გითხრათ, ჩემი გული უოვედთვის კვენისის, როცა ამისთანა სამწუხარო სურათებს ვხედავ. რაღაცა ჩემი გული არაფერს სანუგეშოს გამოეღის მერმისის დროისთვის ამისთანა მუნდირებით თავ-

მომწონე კაცებისაგან. იმდენი დვთის წყალობა მე მომცეს დმერთმა, თქვენ არ დაგიფიცავთ, რამდენი ამ ჩვენი აზრის დამამტკიცებელი საბუთი მაღალი სწავლის მიმდებ პირთა ჩვენ მოგვცეს და აშკარად თავის ცხოვრებით დაგვიმტკიცეს... ცხოვრებაში გამობრძანების შემდეგ ერთი რამდენიმე თვე და რამდენიმე წელიწადიც ხშირად გაიგონებთ მათგან: „მამულო, მამულო, გაუმარჯოს მამულს, გაუმარჯოს საქართველოს“, და შემდეგ კი აღარა გესმით მათგან. ერთი ქვეით მიძვრება, მეორე-ზერით, ერთი ალთას გაიძანის, მეორე ბალთას, რაც წინეთ საზიზღრად მიაჩნდა, დდეს ის მოსწონს, რასაც წინეთ აუგებდა, დდეს იმას აქებს, რაც წინეთ საქებრად მიაჩნდა, დდეს იმ ს ღნაძდავს და აუგებს. ერთი სიტყვით ბაბილონის ენის არევ-დარევია. ჩვენ დიდი იმედები გვებადება ჩვენში ნასწავლი პირების გამრავლებით. მათგან მოველით ეკონომიურად აღდგინებას, მათგან მოველით დაგირავებულ მამულთა დახსნას. მაგრამ მეთი შენი მტერი ნუ არის! არა თუ დაგირავებული მამულები გამოიხსნან, პირიქით ერთს ადგილას დაგირავებულ მამულს ორსამ ადგილას აგირავებენ, რომ, ვინ იცის, ბანკის ვაღს, რომ გაღურჩეს რამე, ისიც სხვ მ წაიღოს. დიდი ადგილ-მამულის პატრონი კი ცარიელტარეელი დაბრძანდეს და მით ინუგეშოს, რომ მას, როგორც უოვედ პატიოსან კაცს, არაფერი არა აქვს და არც უნდა მდიდარი შეიქმნეს, რადგან მდიდარნი უოვედთვის, მათის აზრით, არა სიმართლით და არა პატიოსნებით მდიდრდებიან!.. დიად, ამ ბატონებს კიდევ ვერ გაუგიათ, რომ დრო ფული არის და ვინც ამ დროთ გონივრულად და რიგიანად სარგებლობს, უოვედთვის მდიდარია, ვერ გაუგიათ ჯერეთ ზოგიერთებს, რომ ადრე დაწოლა, გვიან ადგომა, მკირე საქმეზე ბევრი დაუბობა სიმდიდრეს არ მიანიჭებს კაცს. ვერ შეუტყვიათ კიდევ, რომ ძილი მსუბუქი, მკვირცხლი გონება, გვიან დაწოლა,

ადრე ადგომა, ნიადაგ შრომა, მეცადინობა არის ერთად ერთი თავმდეები მდიდრული და რიგისანი ცხოვრებისა!.. დმერთო, შენ მიანიჭე ამ ჩვენ სოლომონ ბრძნებს საჭირო სწავლა-მეცნიერება!..

ჩვენშიც უოფილან\* \* ღერენები და დერულები! საფრანგეთში დიდო ხანი არ არს, რაც შესდგა ლიგა პატრიოტთა, რომელიც რესპუბლიკის მთავრობას მოსვენებას არ ძღვევდა თავისი ვითომ და პატრიოტულის მიმართულებით. პირველად სალაპარაკო საგნად ამ ლიგამ გაიხადა დრეიფუსის საქმე. დრეიფუს-ს საქმის გამო აეტყუა მართებლობას და ვინ მოსთვლის, რა არ დაწამა რესპუბლიკის მართებლობას. საქვეწოდ გაიძახო-დენ: „მართებლობა ურიების მოძრეაო, უმველოთ მაძულს, თორემ დდეინდეფ მართებლობის ხე-ღში იგი დაიდუჰებაო“. ისეთ გაცებს აუხირდენ, რომელნიც უვ ლას თვის სათაყვანონი იყვნენ. წარ-მოიდგმნეთ, ზოგიერთები, მოტუეებულნი ამ ტკბი-ლი სიტყვებით, აუვნენ მათ და ისინიც რას გაი-ძახოდნ, დმერთმა უწყის! თერმე ნუ იტყვოთ, ეს «პატრიოტები» უოფილან ერთი ვაჟ-ბატონისაგან მოუიდუენი, რომელსაც განეზრახა საფრანგე-თის ტ-ხტზე აცოცება და დასგუჰება. ეს პირი თურმე დიდ-ძალ ფულებს აძღვევდა ამ ბატონთ „პატრიოტთა“. შეუტყვს ამ ბატონებს ეს ზრი-კები და ესლა ციხეებში ბრძანდებიან და იქიდან იჭვრიტებიან...

ჩვენში «პატრიოტებმა» საბაბათ გაიხადეს ბანკობია ქუთაისში და დაუწყეს ლანძღვ-გინება ისეთ პირებს, რომელთა ფენის ვახდის უფლე-ბაც არა აქვსთ. გარშემუნებო, ბატონებო, ვითომ «პატრიოტებო», რომ თქვენი ჯდაბნით და თქვენი ტარტალით საზოგადოებისაგან გვრგვინს ვერ დაიმსახურებთ. განსოვდესთ ბრძენი კაცისაგან წარმოთქმული სიტყვები, რომ დედის წინ წასუ-ლი გვცი მგდის ლუგმ აო...

მართალა, შეიძლება თქვენგან მოსტუეუ-დეს ვინმე და გული იცრუოს ნამდვილ მოღვ-წე პირებზე, მაგრამ არა. მალე შეიტუობს საზო-გადოება თქვენს ვინაობას და თქვენი უმელობის მიზანს და შერცხვ ნილი დარჩებით. სიმართლე და კაცის კეთილი მიმართულება არასოდეს არ შეიბდალება არა წმიდა კაცისაგან... გუშინდელი გაიძვერა ძნელია დდეს ანგელოზად ვადიქცეს...

(გაგრძელება იქნება).

კზა მღვდლობისაკენ.

(რუსულიდან)

გაგრძელება \*)



ტახინის ვაჟი და ქალი ტოლები იყე-ნენ გიგოსი, დიდი ხნიდან იცნობდნენ ერთი ერთმანეთს და კიდევ მოსწონ-ღათ ერთმანეთი. ყველანი მხიარულნი იყვნენ. ლაპარაკის დროს თითქმის ყველანი ხუმრობდნენ.

—ღიან, ძლიერ გამაკვირვეთ მე თქვენ, გიგო პეტრეს ძე, სთქვა სტახინმა სიცი-ლით. „ვღებულობ ქორწილში დასაპატიჟებელ წე-რილს და ვუტკერი, თუ ვინ იწერს ჯვარს და თვალს არ ვუჯერებ. გიგო პეტრეს ძე როზოვი! ეს რა ამბავი უნდა იყოს? ამ სამი კვირის წინად იგი ჩვენ-სას იყო, ვუქრობ ჩემს გულში და არაფერი კი არ გაუმხელია, და უეცრად?! რა ეშმაკი ყოფილხარ!“

—„მოვიდა, ნახა და სძლია“, მოიყვანა ცეზა-რიდან ხსენებული ადგილი სტახინის შვილმა.

—მამა, აი მეც ოდესნე ასეთ ამბავს გიზამთ. მართლაც როგორ არ უნდა განიძრახო ცოლის თხოვა, როცა საქმე სულ ორ-სამ კვირაში გათავ-დება, თქვენ რაღას ფიქრობთ ამ საქმის შესახებ?“

—„თავი დაანებე. ალექსი, სისულელის ლაპა-რაკს. რა დროს შენი ცოლის თხოვნაზე ფიქრია! ჯერ იმსახურე, რომ რამე დაწინაურება მიიღო!— თქვენ ეხლა რა გზას ადგინართ?“ ჰკითხა გიგოს სტახინის ცოლმა.

—„ჩემი გზა ერთია, მარიამ სტეფანეს ასულო, თქვენც იცით ეს გზა“. გიგო მიატკერდა მას.

—„ნუ თუ მღვდლობას აპირებ? ერთი ხმით შეყვირა მთელმა ოჯახობამ. „ეს რა ამბავია, გიგო პეტრეს ძე?! რაღაცა გასაოცარია ამ ამბის გაგო-ნება თქვენგან!“

მთელი ოჯახის ყურადღება მიიქცა გიგოზე. მათ ჭეშმარიტად ებრალებოდათ იგი. გიგოს მხი-არული პირის სახე შეიცვალა და გაკვირვებით შეე-კითხა მათ:

\*) იხ. «მწყემსი», № 18 1899 წ.



— „რა არის აქ გასაოცარი? განა მე იმისათვის არ ვემზადებოდი, რომ სასულიერო უწყებაში მემსახურნა? მღვდლის ასპარეზი, როგორც თქვენც უწყით, ყოველთვის მიზიდავდა მე, ვინაიდან ეს ასპარეზი არის ვრცელი, სადაც თავისუფლად შეუძლია კაცს მოღვაწეობა“.

— „შეიძლება ეს ასეც იყოს, მაგრამ მღვდლად წასვლა კი ძნელია“, სთქვა სტახინმა. მე კი ვერ წარმოვიდგენდი თქვენ შესახებ, გიგო პეტრეს ძევ, რომ თქვენისთანა ცოცხალი, მკვირცხლი და სუსტ ნერვიანი ბუნების კაცი დაადგებოდა იმ გზას, რომელმაც, ჩემის ფიქრით, უნდა დაახშოს თქვენი ზნეობრივი პიროვნება, უნდა მოგაკლოს თქვენ თქვენდამი კუთვნილი სიცხოველე და მხიარულება. ღმერთმა ნუ ჰქნას, მაგრამ, ვინიცოხაა, რომ თქვენ გაგზავნონ სადმე მივარდნილ სოფელში, გაუნათლებელ გლეხებთან, თქვენ მოაკლდებით ხეირიან საზოგადოებაში ყოფნას და კაცს ვერ ნახავთ, რომ თქვენი გულის პასუხი გაუზიაროთ. სწორეთ დიდი მხნეობაა საჭირო, რომ სასოწარკვეთილებაში არ ჩაგაგდოს იმ მოწყობილებაში, რომელიც შენ გარს გერტყმის. გარდა ამისა, ის მოვალეობა, რომელსაც თქვენ თქვენს თავზე ღებულობთ, ნუ თუ თქვენთვის არ იქნება სამძიმო, ჩემის აზრით კი ეს მოვალეობა სრულებით არ არის თქვენი შესაფერი და სრულებითაც არ ეთანხმება იმ წარმოდგენას, რომელიც მე თქვენზე მაქვს. სტახინი ლაპარაკობდა ნელა და სარწმუნოდ. გიგო გრძნობდა, თუ მისდა უნებლიედ როგორ ეხატებოდა თავში მისი მომავალი სამსახური მღვდლობას ხარისხში, რომელიც, სტახინის აზრით, სასურველი არ იყო. გიგომ მოინდომა დაეთარა თავისი სამსახური. — „ნება მომეცით ვთქვა, ნიკოლოზ ივანეს ძევ, რომ მიყრუებულ ადგილს სამსახურს, როგორც თქვენ ბძანეთ, შეუძლია კაცს მიანიჭოს მრავალი მაღალი ზნეობრივი სიამოვნებანი... — „რომელთაც სრულებით გააქარწყლებს და მოსპობს თქვენში მრავალი შევიწროება“, — დაუმატა სტახინმა.

— „თუ გინდ მხედველობაში მიიღეთ მხოლოდ ერთი მხარე — ნივთიერი მდგომარეობა მღვდლისა, — კეთილ მნებელობითი საჩუქრები მრევლთაგან — მარტო ესეც კმარა, რომ თავი დაანებო მღვდლად წასვლას“ ... გიგო გრძნობდა, რომ სტახინის სიტყ-

ვები მასში ბადავდნენ რალაც შესაძრწუნებელ გრძნობას, რომლის გაფანტვას ცდილობდა იგი.

— „მე არ შემიძლია არ დაგეთანხმოთ თქვენ, ნიკოლოზ ივანეს ძევ, რომ ჩემი ცხოვრება მწუხარებას მომაყენებს მე, მაგრამ ვისი ცხოვრებაა მოკლებული მწუხარებას? ისიც ცხადია, რომ სადაც ბევრი მწუხარებაა, იქ ბევრი სიხარულიცაა...“

— „იციოთ, გიგო პეტრეს ძევ, თუ რა საქმეს უნდა მოჰკიდოთ ხელი თქვენ ეხლა? მოდი ხელი მოჰკიდე ვაჭრობას! სწორეთ რომ კარგი საქმეა. ამ დროს სტახინის შვილი ბორისი წამოდგა, მივიდა ხელების ფშვნეცით გიგოსთან. — „ღმერთმანი არ წააგებთ! მღვდლად წავიდეს ის, ვისაც უნდა, თქვენ კი, მართალი უნდა გითხრათ, მღვდლად არ გამოდგებით. ვერ წარმომიდგენია, როგორი იქნებით თქვენ ანათორაში“, — და ბორისმა მეგობრულად ხელი დაჰკრა გიგოს მხარზე.

(შემდეგი იქნება)



### ახალი ამბები და შენიშვნები.

6 ოქტომბერს, შესრულდა ორმოცდა-ათი წელიწადი, რაც ყოვლად სამღვდლო აღექსანდრე, ეპისკოპოსი გურია-სამეგრელოსისა, ემსახურება წმ. ეკლესიას. ამიტომ მაღალ ყოვლად უსამღვდლოესმა, საქართველოს ექსარხოსმა ფლამბიანემ ქალაქის სამღვდლოებითურთ გადაიხადა სამადლობელი პარაკლისი, ხოლო ყ-დ სამღვდლო კირიონმა, ეპისკოპოსმა ალავერდისამ საკრებულო ტაძრის სამღვდლოების თანამწირველობით შეასრულა წმ. ლიტურღლია სიონის ტაძარში.

ქუთაისის გუბერნიის მეაბრეშუმეობის საჭიროებათა დასაკმაყოფილებელ ღონისძიებათა გამოსარკვევად კავკასიის საბაღოსნო საზოგადოების განყოფილება ამ შემოდგომაზედ ქუთაისში მეაბრეშუმეთა კრებას გამართავს ქუთაისის გუბერნატორის თავმჯდომარეობით. კრებაში მონაწილეობის მიღება შეუძლიან ყველას, ვინც-კი ქუთაისის გუბერნიაში მეაბრეშუმეობას, აბრეშუმეულობით ვაჭრობას და ამ სამეურნეო დარგის სწავლებას მისდევს, და აგრეთვე — ქუთაისის გუბერნიის ადმინისტრაციის წარმომადგენელთ და მთავრობის სპეციალისტებს. კრების გათავების შემდეგ მისი დადგენილებანი წარედგინება მიწად-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს. ვისაც სურს რომელიმე საგანი განხილულ იქმნას კრების მიერ, უნდა ამ საგნის შესახებ დასაბუთებული განცხადება, ანუ დაწერილი მოხსენება წარუდგინოს კრებას თავის დროზედ და არა უგვიანეს ერთის დღისა კრების დაწყებამდე.

4 ოქტომბერს, სასახლის ქუჩაზედ მიმავალს სემინარიელს გრიგოლ გოგოლაძეს უეცრად თავს ბრუ დასხმია, წაქცეულა ქვა-ფენილზედ, რომელზედაც საფეთქელი დაურტყამს და თავი გაუტეხა. გრძნობა მიხდელი გოგოლაძე პოლიციელს ქალაქის მთავარ-სამკურნალოში წაუყვანია სამკურნალო დახმარების აღმოსაჩენად. ამ დროს, გოგოლაძის მშობელთა და თვით პოლიციელის სიტყვით, სამკურნალოში რამდენიმე მკურნალი იმყოფებოდა, მაგრამ არც ერთმა მათგანმა „წეს რიგის“ სახელით დაშვებულს დახმარება არ აღმოუჩინა, აქაო-და ამ სამკურნალოს სხვა დანიშნულება აქვსო, და ავადმყოფი მიხეილის საავადმყოფოში გაჰგზავნეს. გოგოლაძე გზაში გარდაიცვალა კუკიის ხიდზედ, ვიდრე საავადმყოფოში მიიყვანდნენ...

6 ოქტომბერს შესრულდა 50 წელიწადი მას შემდეგ, რაც ყოვლად სამღვდლო, გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსი ყოვლად სამღვდლო აღექსანდრე მღვდელ-მონაზონად იქმნა ხელ-დასხმული.

მსკოვანი მღვდელ-მთავარი კურთხეულ იქმნა მღვდელ-მონაზონად 1849 წელს 6 ოქტომბერს. შემდეგ სწავლა დაამთავრა ყაზანის აკადემიაში ღვთისმეტყველების კანდიდატად 1850 წელს. დიდი ხნისა

და სასარგებლო საბსახურისათვის უმაღლესად დაჯილდოვებულია ორდენებით: წმ. ანასია 1 ხარისხისა, წმ. ვლადიმერისა 3 და 2 ხარისხისა, ძვირფას ქვებით შემკულ პანაგიათი, ბრინჯაოს ჯვრითა ვლადიმერის ლენტეხით სახსოვრად 1853 და 1856 ომისა, წითელის ჯვრით 1877 და 1878 წლ. ომის სახსოვრად და კავკასიაში მართლ-მადიდებელ ქრისტიანობის აღმადგენელ საზოგადოების წინაშე სამსახურისათვის — წმ. ნინოს ჯვრით 4 ხარისხისა.

გარდა ამისა, ერთგულისა და დიდად სასარგებლო სამსახურისათვის ყ-დ სამღვდლო აღექსანდრეს მრავალ გზის გამოცეხადა უმაღლესი მადლობა

1 ოქტომბერს, მცხეთობას, თუმცა ცუდი ამიდი იყო, მაგრამ დიდ ძალი მლოცველები შეიკრიბნენ ტაძარში. ზოგიერთი მლოცველები ორი დღით ადრე მოვიდნენ ტაძარში სალოცავად მახლობელი და შორეული სოფლებიდან. ზოგი ურმებით და ზოგიც რკინის გზით.

ღვთისმშობლის წინა დღით, 30 სექტემბერს მცხეთის ტაძარში ღამის თვეთი ლოცვა შესრულა ყ-დ სამღვდლო ლეონიდა ადგილობრითი და თფილისიდან მოსული სამღვდლოების თანამსახურებით.

ღვთის მსახურების გათავების შემდეგ მლოცველები დაბინავდნენ ღამის გასათევად ტაძრის ეგუტერში, სახლების აივნების ქვეშ, ახლად გაკეთებულ კარვების და ურმების ქვეშ. აქა-იქ ანთებული იყო ცეცხლი და მლოცველები გათენებამდე თავს იქცევდნენ სიმღერით და ცეკვით\*). სოფლის სხვა და სხვა ადგილებიდან მოისმოდა დაფა-ზურნის ხმა და „მრავალ-ქამიერი“.

ღილის მატარებლით დიდ ძალი საზოგადოება მოვიდა თბილისიდან მცხეთაში.

ღილის მეორე მატარებლით მობრძანდა მისი მალალ ყ-დ უსამღვდლოესობა, საქართველოს ექსარხოსი ფლაბიანე. მათი მეუფება რკინის გზის სადგურიდან პირ-და-პირ ტაძარში მობრძანდა, სადაც მათი მეუფება ყ-დ სამღვდლო ლეონიდეს და მრავალი სამღვდლოების თანა-მსახურებით შეუდგა წირვის

\*) „ივერია“-ს მათამაშენი და მცეკვარნი მლოცველები ჰგონია!.. აფსუს!.. რედ.



შესრულებას. წირვის გათავების შემდეგ ყ-დ სამღვ-  
დლო ლეონიძეა წარმოსთქვა ქართულს ენაზე  
გრძნობით საჩესე სიტყვა, რომელიც ამ ნომერშივე  
იბეჭდება. ამ სიტყვაში მათმა შეუფებამ, სხვათა-შო-  
რის, დახატა ისტორიული მნიშვნელობა დღეინდ-  
ლი დღესასწაულობისა, რომელიც დაწესებულია არა  
მარტო ქეთიობისა და მხიარულობისათვის; შემდეგ  
მათმა შეუფებამ ურჩია მლოცველებს, რომ მათ ეს  
დღესასწაული აღბეჭდონ თავიანთი კეთილი საქმე-  
ებით და ყველას სთხოვა რაიმე შეწირულება გამო-  
ვლოთ მცხეთის ტაძრის შესაკეთებლად.

წირვის გათავების შემდეგ მათმა მალალ ყ-დ  
უსამღვდლოვსობამ, ექსარხოსმა ფლაბიანემ ყ-დ  
სამღვდლომ ლეონიდეს და მრავალი სამღვდლოვ-  
ბის თანამსახურებით პანაშვიდი გადიხადა პეტერბურ-  
გის და ლადოგის განსვენებული მიტრაპოლიტის  
ისიდორეს სულის მოსახსენებლად, ვინაიდან ამ 1  
ოქტომბერს სწორედ ასი წელიწადი შესრულდა  
განსვენებულის დაბადების დღიდან. წირვაზე და  
პანაშვიდზე დაესწრნენ ტფილისის გუბერნატრის  
თანამდებობის აღმასრულებელი პოლკოვნიკი ი. ნ.  
სვეჩინი, მრავალი თავადები და აზნაურნი, ქართლისა  
და კახეთის სხვა და სხვა ადგილებიდან მოსულნი,  
და მრავალნი მლოცველები.

პანაშვიდის შესრულების შემდეგ მათმა შეუფებამ  
ექსარხოსმა ფლაბიანემ, ყოვლად სამღვდლო ლეო-  
ნიძეა, ტფილისის გუბერნატორმა ი. ნ. სვეჩინმა  
დაათვალიერეს სამთავისის დედათა მონასტრის სკოლა  
და ინახულეს ამ მონასტრის ფრიად მოხუცებული  
წინამძღვარი ნინო, რომელმაც სტუმრები საუზმეზე  
მიიწვია.

მალალ ყოვლად უსამღვდლოვსი საქართველოს  
ექსარხოსი ფლაბიანე და თბილისის გუბერნატორი  
ი. ნ. სვეჩინი საღამოს მატარებლით ტფილისში  
გაემგზავრნენ.



## სწავლა და მეცნიერება ქრისტიან- ნობრივ სარწმუნოებასა და კეთილ- ზნეობაზე.

### ს ი ტ უ ვ ა,

თქმული 1-ს ოქტომბერს, მცხეთის სვეტი-ცხვადის  
ტაძარში.



ცხინვარებითა საღმრთოთათა განათლე-  
ბული ერი ქართველთა, მხილველი სა-  
იდუმლოსა ღვთივ შვენიერისა კვართსა  
ზედა საღვთოსა ღვთივ დანერგულისა  
სვეტისა, დედოფალსა ეკლესიათასა  
შემოკრებულნი, იშვებენ საიდუმლოდ  
და, შესხმითა გალობათათა მძნობელნი,  
ქრისტესა აღიდებენ (კანონი ცისკრისა 1 ოქტ.)

მიშ, რა დამატკობელი, გულის წარმტაცი  
და საუცხოვო სურათია აღწერილი მოყვანილ სიტ-  
ყებში! რა სანეტარო, სასურველი და ძვირფასი  
სანახავი ეშლება კაცს თვალ-წინ მათ გაგონებაზე!  
სვეტი ცხოველი, ეს, ჭეშმარიტად, კეკეჟისათა დე-  
დოფაა, აღვსილია მთლად ქართველთა ერთ; დი-  
დი და პატარა, ქალი და ვაჟი შეუპყრია რადაცა  
არა ქვეყნიურ ძალას, სახეზედ ყველას მიმოუქრის  
შეციური ბედნიერება, თვითეულის შუბლს აბრწ-  
ყინვებს ნათელმოსილი სხივი სულიერი ნეტარებისა.  
ერი ესე, მხილველი ღვთივ ბრწყინვალისა სვეტისა,  
რომელიც აღმართულია საუფლოსა კვართსა ზედა,  
ითვალისწინებს მათ მიერ (სვეტისა და კვართისა)  
მოხდენილთა მრავალთა სასწაულთა, აღივსება ღმრ-  
ბიერებით და, გულის სიღრმიდან აღმონადული  
ქება-დიდების აღვლენით, ქრისტესა აღიდებს.



აი როგორა დღესასწაულობდა სვეტი-ცხოვლობას ჩვენი მამა პაპა, რაგვარად ატარებდნენ ძველად ქართველები დღევანდელ დღეს! მოყვანილ სიტყვებში, როგორც სარკეში, სრულის სიცხადით გამოსკვივის ჩვენი წინაპრების ღირს წასაბაძი სათნოება, შეგნებული შიში და კრძალულება ღვთისადმი. მათი ქრისტიანური ჩვეულება და ხასიათი. ამასთან თვითველი სტრიქონი აღმოწერილი სიტყვებისა შეიცავს იმოდენად სრულს, ცხადს და განწყობილ მოძღვრება-დარიგებას, რომ თუ კი მქადაგებელი საკმარისად შემუშავებული და განვითარებული გონებრივი გემოვნების პატრონია, შეუძლებელია ამ დარიგება-მოძღვრების რაიმე მოკლება ან დამატება არ ჩასთვალოს დამახინჯება-დასახინჯებად. საკმარისია მქადაგებელმა მხოლოდ შეგნებით და მკაფიოდ წარმოსთქვას იგინი, რიგიანად გაავგონოს მსმენელს, სთხოვოს მათ, რომ მტკიცედ დაიხსოვონ, ღრმად აღმოიქდიონ გულის ფიცარზე, მიუთხრან, გადასცენ და განუზიარონ თავიანთ მეზობლებს, ნაცნობებს და ნათესავეებს და ამითი პირნათლად აღასრულებს იგი თავის მასწავლებლობის მოვალეობას. სწორეთ ამგვარადვე უნდა მოვქცეულიყავ მეც: მოვალე ვიყავ მეც აღნიშნული სიტყვების წარმოთქმით გამეთავებინა ჩემი სუსტი და უფერული სწავლა-დარიგება, მაგრამ ის არა ქრისტიანული ხასიათი დღესასწაულების შეხვედრა-გატარებისა, რომელიც ჩვეულებად გაგვიხდია დღეს საზოგადოდ ქართველებს, იძულებულს მყოფს ცოტა ხნობით განვაგრძო კიდევ ჩემი მოძღვრება.

არავის არა აქვს საბუთი უსაყვედუროს ქართველ ერს, რომ მას არ ახსოვს თავისი უმთავრესი სალოცავების დღეობები, გულგრილად ეკიდება მათ და არ დაიარება სალოცავებში. არა, ამ საგნის შესახებ საყვედური სრულიად უსამართლო და უსაბუთო იქნება. ქართველ ხალხს დღესაც მტკიცედ ახსოვს, როდის რა ღირს შესანიშნი დღეობა მოდის და დიდი ერიც ესწრობა ხოლმე ამ გვარ დღეობას. საკითხავი მხოლოდ ის არის, რისთვის, რა საქმისათვის მოდის ხალხი სალოცავებში. რასაკვირველია, პირჯვრის დასაწერად, ლოცვა-ვედრებისათვის, ბძანებთ მრავალნი. დიად კარგი და პატიოსანი, მაგრამ თუ ეს მართლა ესეა, რატომ წირვის

ღროს მაინც არ შემოდის ეს ამოდენა ხალხი ეკლესიაში და არ ისმენს შესაფერი კრძალულებით ლოცვა-გალობაათ? რის ნიშანია ეს რაღაცა უზრდელად, მეტის-მეტი კადნიერებით და თავხედობით რამდენიმე წუთით შემოვარდნა ეკლესიაში და მერე ისევ გავარდნა კარზე? რა არის ესოდენი უზომო და უჯერო სმა და ჭამა, სიმღერა, შეუსაბამო ხუმრობა, დაულაღავ-განუწყვეტელი ცეკვა, ახირებული სიცილი და სხვა? თუ ხალხი მოდის ხატის კარს სალოცავად, მაშ რაღათ გაისმის ეს საზიზღარი და საზარელი ხმაურობა ზურნისა, რომელიც ყოველს ჩვენგანს უნდა გულით გვძულდეს და გვეზიზღებოდეს, რადგანაც ძველ დროში ამ ხმაურობის გაგონება მოასწავებდა ჩვენი ტაძრების, ჩვენი ციხე-სიმაგრეების, ჩვენი ქალაქების, სოფლების დამა-პაპათა საფლავების აკლება-განადგურებას თათრებისაგან. არა, ასეთ ურიგობაში, არეულობაში, ასეთ ყოველ ზომიერებას გადასულ ღროს ტარებაში ლოცვას სრულებით ალაგი არა აქვს და, მართალი უნდა ვთქვათ, არც არავინ ფიქრობს მახედ. ხალხი მოსულა ღვთის გასარისხებლად, და არა სალოცავად. სწორედ ამგვარი დღესასწაულების შესახებ ბძანებს უფალი: დღესასწაულნი თქვენნი ძულან სულსა ჩემსა (ისაია 1, 14); მოვიძულენ და განვიშორებ დღესასწაულთა თქვენთა და არა ვიყნოსო კრებათა შინა თქვენთა (ა მოს. 5, 21). ასე, მოვდივართ ვითომდა ღვთის საამოდ, და საქმით კინამდვილად ვარისხებთ მას, მოვდივართ ვითომდა ღვთის კურთხევის მისაღებად, და ნამდვილად კი ვიძინთ მისს წყვეა-ყვედრებას, მოვდივართ სულიერი და ხორციელი სიკეთის მოსაპოვებლად, და ნამდვილად კი ვიძინთ ათას გვარ ბოროტება-სიავეს, მოვდივართ ვითომდა ეკლესიის სარგებლობისთვის, და საქმით კი დიდი ზარალის, მისი ეზო-კარმიდამოს გაბინძურება-შებილწვის მეტს არას ვარგივართ მას... განა ეს ტაძარი ჩვენთვისაც კვლავსიათა დედოფალია?! განა ჩვენ ვფიქრობთ ან გვიფიქრნია როდისმე, რომ თუმცაღა ყველა სალოცავი—სალოცავია, ყველა ეკლესია—ეკლესიაა, მაგრამ სვეტი-ცხოველი საქართველოს ყველა სალოცავ-ტაძრების დედოფალია?! განა რომ დედოფალი ყოველთვის სხვათა დედათაგან განირჩევა ძვირფასი სამკაულით



და შევნიერი მორთულობით? განა რომ დედოფლის პატრონები დიდათ ზრუნავენ და მეცადინობენ, რომ არა აკლდეს რა მათ დედოფალს და სიღარიბე-ნაკლულეფანებით არ დაიჩაგროს იგი? მაშ რის ნიშანია ასეთი მწარე სიღარიბე ჩვენ სალოცავთა დედოფლისა? განა ეს ტიტველა, გაფცქვნილი და წვეთისაგან გარეცხილი კედლები ამ ჩემ სუსტ და უძლურ ქადაგებაზე უაღრესად არა ღალადებენ ჩვენს აზრს მოკლებულ და საგმობელ გულგრილობას, გასაშტერებელ დაუდევრობას და სამარცხვინო უფერულობას? მაგრამ რათა, იქნება მე ვცდები, იქნება ამ ტაძრის შემკობა-გამშვენება მოითხოვს იმოდენა შეწირულობას, რომ ჩვენ, როგორც ღარიბებს, არა გვაქვს საღსარი მისი შეგროვისა და აი სწორეთ ეს სიღარიბეა მიზეზი, რომ ვერა გვიშველია-რა ამ პაპულის სალოცავისთვის, თუმცაღა ყველას გულს გვიწყლავს და ნაღველას გვისივებს დღევანდელი მისი მღგომარეობა? დიად, შესაძლოა ვინმე ფიქრობდეს ამგვარად, მაგრამ ამ გვარი მოსაზრება სრულებით სახეში მისაღები არ არის და ვერც ერთს ქართველს ვერ მოხდის ბოდიშს წინაშე ამ ეკლესიისა. საფასი, რომელსაც ამ ეკლესიის გამშვენება მოითხოვს, არავისთვის არ არის მართლა და მიუწოდამელ-აუტანელი. საკმარისია თითო ოჯახის მამამ გამოიღოს თავისდა წვლილად ერთი ჩანახი პურის ფასი, ხოლო თვითეულმა ოჯახის დედამ უბრალო მანდილის ფასი, და ეკლესია ესე შეიმკობა სწორეთ იმ გვართ, როგორც შეზფერის სახელოვან დედოფალს. აი რა მცირედ რამეს გვთხოვს ეს მამაპაპათა ოფლით და შრომით აშენებული ტაძარი და რაღაცა საოცარი უთაობისა, სულის სიმდაბლისა და გაღატაკებისა გამო ვერ შეგვიგნია ესა, გავჩერებულვართ და სხვისაგან მოველით მოწყალეებს! ოჰ, მეტად სამწუხარო, მეტად შემაძრწუნებელი და გულის შემზარავია ესეთი ჩვენი საქციელი! ნუ თუ მართლა იმ ზომამდე მივახწიეთ, რომ აღარაფერი აღარა გვემეტება-რა იმისთანა ტაძრის აღსადგენად, რომელშიაც მთელი ერთი აღ-

მოიშობა წმინდა ნათლისღებით, რომელშიაც მან განაგდო სამუდამოდ კერპთთაყვანისმცემლობის სიბნელე და აღიჭურვა ცხოველსმყოფელი ჯვართა!!  
 კმარა, კმარა, საყვარელნო მსმენელნო, ამოდენა შერცხვენა, ამოდენა თავის მოჭრა; განვაგდოთ ჩვენგან ეს დამჩაგვრელი სულიერი მოღუნება და მკონარეობა, სიმდაბლით და მორჩილებით მოვიდრიკოთ მუხლნი წინაშე ამ ღვთივ ბრწყინვალისა სვეტისა, ღმობიერებით ვეამბოროთ მას, შევთხოვთ გულის სიღრმითგან, რომ არ მოგვაგოს მან საქმეთაებრ ჩვენთა და ამიერიდგან მაინც დავდოთ მტკიცე აღთქმა მუღმივი ზრუნვისა ამ ჩვენი საერო ემბაზის გამშვენებისათვის, რაიცა ღმერთმა ყველას შეგვაძლებინოს! ამინ.

ქვისკაზოსი ლეონიდა.



წმიდანი მთავარ-მოწამენი ანტოკუთის მთავარნი დავით და კანსტანტინე.



**რედაქციის პასუხი.**

სკოლის მასწ. რ. ნ—ქეს. მადლობის გამოცხადება ეკკლესიის ნათესავების შეწირვისა-ს თვის კრებულის რიგია და არ გერძობა ზიარება. თუ რამე შესწირეს ეკკლესიას, ამას ეკკლესიის კრებული უნდა ამოწმებდეს.

მასწავლ. კ. უგ—ვას. თქვენც ის უნდა გიპასუხოთ, რაც ზირველ მასწავლებელს. თუ მართლაც მღვდელს არ ეხერხება ხელის მოწერა, შეგიძლიათ დაამოწმებინოთ და ისე გამოგზავნოთ. ისეთი მღვდელი, რომელსაც ხელის მოწერა არ შეეძლოს, დღეს, ვგონებ, არსად არ არის.

**უ ი ნ ა ა რ ს ი:**

**სალიტერატურო განყოფილება:** შესანიშნავი დიდი დღესასწაულობა დაბა ყვირილაში 2 ოქტომბერს.—მომავალი რეფორმის გამო.—მწარე ფიქრები.—გზა მღვდლობისაკენ.—ახალი ამბები და შენიშვნები.

**სწავლა და მცენიერება ქრისტიანობაში სარწმუნო.** და **კეთილ-უნებობაზე:** სიტყვა, თქმული 1 ოქტომბერს მცხეთის სვეტის-ცხოვლის ტაძარში ეპისკოპოსის ლეონიდის მიერ.

- რედაქციის პასუხი.
- განცხადება.

მიიღება ხელის-მოწერა 1899 წლისათვის მრავალრიცხოვან ბაზრობათა მართლს

**„მწუხარ“-ზე**

რუსულ «П А С Т Ы Р Ь»-ზე  
ქურნალის ფასი:

12 თვით «მწუხარსია» 3 მ.	6 თვით «მწუხარსია» 2 მ.
— „რუსული“ 3 მ.	— „რუსული“ 2 მ.
— „ორივე გამოცემა“ 5 მ.	— „ორივე გამოცემა“ 3 მ.

ბაზეთზე ხელის-მოწერა შეიძლება როგორც ეგვიპტეში, აგრეთვე ქუთაისშიაც. თბილისში წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების წიგნის მაღაზიაში, ბ. შიო ქუჩაზე შეიძლება. ფოთში—დეკანოზ მ. გრიგოლ მაჭაროეთან; საჩხერეში—ყარაღან ჩხეიძესთან; ახალციხეში—დეკანოზ დ. ხაბუაძესთან; ახალციხეში—ბლაღოჩინ მათა არქიტარქ კალანდარიძესთან.

სოფლის მასწავლებელთ და ღარიბთ გაზრდები დაეთმობათ მთელის წლით ორივე გამოცემა სამ მანეთად.

რედაქციას აქვს კანტორები: ქუთაისში ხანანაშვილების სახლებში და ეგვიპტეში რედაქტორის საკუთარ სახლებში.

ბარემ მცხოვრებთ ქურნალის დაბარება შეუძლიათ ამ აღრესით: Вь Квирилы, вь редакцію газеты журнала „МЦКЕМСИ“ и «ПАСТЫРЬ».

მდგომარე წლის ხელის მომწერთათვის დანიშნულია საჩუქრად **სახსულმს ღვთის-მყოფლის ფოტოგრაფიული ნახატი** და ჩვენი მოღვაწის ბატონის

**აკაკის სურათი,** ბრესტოლის ქალაქზე დაბეჭდილი.

სემოაღნიძნულ საჩუქრეს ხელის მომწერნი მიიღვენ ფულის შემოტანისათხავე.

რედაქტორ-გამომცემელი დეკ. დ. ლამაშიძე. Редакторъ-Издатель П. Д. Гамбашидзе.  
Дозволено цензурою, Тифлисъ, 13 октября 1899 г. ♦ Цензоръ прот. Е. Е л и е в ъ.  
Типог. редакция журн. „Пастырь“ (П. Д. Гамбашидзе) вь Кутаисѣ, вь д. бр. Ханановыхъ, на Нѣмецкой ул.